საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №57/ნ
2017 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის №23 გრაფით გათვალისწინებულ დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის საჯარო სკოლას შეეცვალოს ნუმერაცია და გახდეს №2, ხოლო №24 გრაფით გათვალისწინებული დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის საჯარო სკოლა – №1.

მუხლი 2

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, 112, 26/09/2005) გათვალისწინებულ დანართი №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის გრაფა №23 და №24 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

23	დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №2 საჯარო სკოლა	დაბა ფასანაური	დაწ-საბ
24	დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლა	დაბა ფასანაური	დაწ-საბ-საშ

“.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა**